



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზედგენიძე გიორგი არტემის ძე



გ. ზედგენიძე

ზედგენიძე გიორგი არტემის ძე [21. II(6. III). 1902, თბილისი, - 24. VIII. 1994, მოსკოვი], რენტგენოლოგ-რადიოლოგი. რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი სსრკ-ში. მედ. მეცნ. დოქტორი (1937), პროფესორი (1939), სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960). 1927 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. თითქმის მთელი სიცოცხლე მსახურობდა რუსეთში. 1939-41 იყო სამხ.-საზღვაო სამედ. აკად., ხოლო 1941-59 - ლენინგრადის სამხ.-სამედ. აკად. რენტგენოლოგიის კათედრის უფროსი, 1958-73 - სსრკ მედ. მეცნ. აკადემიის სამედ. რადიოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დამაარსებელი და პირველი დირექტორი, 1973-იდან - მოსკოვის კლინ. და ექსპერ. ონკოლოგიური ცენტრის კონსულტანტი, 1958-იდან -

ჟურნ. „მედიცინსკაია რადიოლოგიის“ რედაქტორი. ზ-ს დამუშავებული აქვს მაიონიზებული გამოსხივების ბიოლ. მოქმედების, სხივური თერაპიის, ავთვისებიანი სიმსივნეების, ძვლებისა და სახსრების, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის, ფილტვის დაავადების, ტრავმულ და სხვა დაზიანებათა რენტგენოდიაგნოსტიკის, რენტგენოლოგიური გამოკვლევის საკითხები. 1958-იდან იყო რენტგენოლოგ-რადიოლოგთა საკავშ. საზ-ბის თავ-რე (1979-იდან საპატიო თავ-რე), საფრანგეთის, გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის და ბულგარეთის რენტგენოლოგ-რადიოლოგთა საზ-ბებისა და მსოფლიოს რენტგენოლოგ-რადიოლოგთა ასოციაციის აღმასკომის წევრი. შექმნა რენტგენოლოგებისა და რადიობიოლოგების სკოლა სსრკ-ში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ობდ.: Экспериментальные фиброзные дистрофии костей, Л.,1938;
Рентгенодиагностика повреждений костей и суставов, 2 изд., М., 1944;
Неотложная рентгенодиагностика, Л., 1957 (თაბაღვთ.: Л. Д. Линденбрატен);
Краткий курс рентгенологии и радиологии, М., 1963 (თაბაღვთ.: Л. Д.
Линденбрატен); Клиническая радиоизотопная диагностика, М., 1968;
Рентгенологическое исследование лабораторных животных, М., 1970;
Клиническая рентгенорадиология. Руководство в 5-ти томах, М., 1983-85.

რ. ვეფხვაძე
